საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 268 2019 წლის 6 ივნისი ქ. თბილისი

„სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებაში (სსმ III, 2010 წელი, №155, მუხლი 1827) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართის (აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელების შემთხვევაში არ შეიძლება ფიზიკური პირისათვის მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სამედიცინო (გარდა „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოფლის ექიმისა და ექთნის/ფერშლის მიერ გაწეული

საქმიანობისა), არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**